

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა გერმანულ ფილოლოგიაში

პროგრამა ძირითადი (major) სპეციალობისთვის

პროგრამის დასახელება გერმანული ფილოლოგია
(German Philology)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

პროგრამის მოდიფიკაციის
თარიღი 2008 წლის მაისი

პროგრამის კოორდინატორი: სრული პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების გამომუშავებას და განვითარებას; ის უქმნის სტუდენტს დარგის სამეცნიერო საფუძვლებს და სძენს მას როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რათა მოხდეს მისი მიზანმიმართული ინტეგრაცია სამოქალაქო საზოგადოებაში.

პროგრამის უწინარეს მიზანს წარმოადგენს *ენობრივი კომპეტენციების* შექმნა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. “საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს” პარამეტრებს, რაც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციის ზრდას A²/B¹-დან - C¹ დონემდე პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში; უცხო ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვითარდება ენობრივი ქმედების ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: ზეპირი მეტყველება, წერა, აუდირება და კითხვა. შესაბამისად, ენის პრაქტიკული კურსი აღრმავებს ინტერკულტურული ცოდნის კომპეტენციებს.

წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს ასევე მეცნიერულ მეთოდებზე დამყარებულ *კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას*, რომელიც ვითარდება ორი მიმართულებით: გერმანული ენათმეცნიერება და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა. პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში კვლევის უნარჩვევების ჩამოყალიბება გულისხმობს: შესასწავლი საკითხის მართებულად დასმას, პრობლემატიკასთან დაკავშირებული ფაქტების კრიტიკულ შეფასებას და ცოდნაზე დამყარებული დასკვნების გამოტანას.

პირველ საფეხურის სასწავლო პროგრამა გარდა პრაქტიკული და თეორიული კომპეტენციებისა და უნარჩვევების სწავლების პროცესში მიზნობრივად ახდენს **ზოგადი და ტრანსფერული უნარების** განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომში კურსდამთავრებულის უკეთ ჩართვას საზოგადოებაში და მის წარმატებულ დასაქმებას.

<p>საბაკალავრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით</p> <p>I. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>1. საერთოევროპული რეფერენციალური ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად <i>პრაქტიკული ენის</i> ცოდნის გადრმაგება (გერმანული ენა, აუდიო-ვიზუალური მედიების თეორია და პრაქტიკა I/II, გერმანული ენის კომპიუტერული სწავლება, ინტერკულტურული კომუნიკაცია) ზოგადი კომპეტენციების მიხედვით (აუდირება, კითხვა, მეტყველება, წერა) და სკალირების პრინციპის შესაბამისად; სტუდენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> - იგებს (აუდირება): ვრცელ მოხსენებას, ლექციას, თუ კი თემატიკა ცნობილია; რეპორტაჟსა და ახალ ამბებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ფილმის შინაარსს, თუ კი სცენარი სალიტერატურო ენაზეა დაწერილი; - იგებს (კითხვა): თანამედროვე პრობლემატიკაზე დაწერილ სტატიებსა და მოხსენებებს; თანამედროვე მხატვრული ლიტერატურას; დიდაქტიზირებულ სამეცნიერ (დარგობრივ ლიტერატურას; - (მეტყველება): შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი ენის მატარებელთან; აქტიურ მონაწილეობას იღებს დისკუსიაში ნაცნობ თემებზე; საუბრობს და არგუმენტების საფუძველზე იცავს საკუთარ შეხედულებებს; 	<p>სწავლების სტრატეგია &მეთოდები</p> <ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკუმი • პრაქტიკუმი • პრაქტიკუმი • პრაქტიკუმი 	<p>შეფასება</p> <p><u>დისკუსია,</u> <u>ზეპირი ინტერვიუ:</u></p> <p><u>კოლოქვიუმი</u></p> <p><u>კოლოქვიუმი</u> <u>ზეპირი ინტერვიუმი</u></p> <p><u>კლასურა,</u> <u>სამინათ</u> <u>დავალება.</u></p>
---	--	---

<p>- (წერა): ნათლად და დასაბუთებულად გამოხატავს საკუთარ აზრს შერჩეულ თემაზე; ხსნის და განმარტავს საკუთარ თვალსაზრისს; ასახელებს თემასთან დაკავშირებულ პრო- და კონტრა- არგუმენტებს;</p> <p>2. სტუდენტი ეცნობა ზოგად ფილოლოგიურ კომპეტენციებს (შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში): გერმანისტიკის წარმოშობის ფილოლოგიური წანამდვრები, გერმანული ლინგვისტური აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის განვითარების ტენდენციებსა და ეტაპებს; გერმანისტული კვლევისთვის აუცილებელი ინსტრუმენტარიუმს.</p> <p>3. სტუდენტი იძენს თარგმნის ტექნიკას შესაბამისი თეორიული წანამდვრების საფუძველზე (თარგმანის თეორია და პრაქტიკა), როგორც ერთ-ერთ შემადგენელ კომპეტენციას ფილოლოგიური სასწავლო პროგრამის ფარგლებში.</p> <p>4. საბაკალავრო პროგრამის ზოგადი ლინგვისტური დისცილინების (შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში, შესავალი ენათმეცნიერებაში, ზოგადი ენათმეცნიერება/ლინგვისტური კომპარატივისტიკა) შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის გადრმავება ხდება გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი ლინგვისტური დისციპლინების ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე (გერმანული გრამატიკის საფუძველები (მორფოლოგია/სინტაქსი), გერმანული ენის ლექსიკოლოგია, გერმანული ენის ისტორია, შესავალი ტექსტის</p>	<ul style="list-style-type: none"> • სალექციო კურსი (მშობლიურ ენაზე) • სალექციო კურსი (მშობლიურ ენაზე), პრაქტიკუმი 	<p><u>წერილობითი გამოცდა</u></p> <p><u>წერილობითი გამოცდა</u></p> <p><u>თარგმანი</u> <u>საგამოცდო წერა</u></p>
---	--	--

<p>ლინგვისტიკაში (გერმანულენოვანი სემინართ), შესავალი სტილისტიკაში). შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი იძენს სათანადო ლინგვისტურ კომპეტენციებს:</p> <p>გერმანული ენის მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების, (გერმანული გრამატიკის საფუძვლები, გერმანული ენის ცვლილებები) მათ ფუნქციონირების ცოდნა; გერმანული ენის მორფოლოგიური და სინტაქსური წყობის თავისებურების ცოდნა; კანონზომიერებათა განხილვა ენობრივ უნივერსალებთან მიმართებაში; ენის პერიფერიული მოვლენების (გამონაკლისები, გადახრა-ანომალიები) ცოდნა; მორფოლოგიურ თეორიული ანალიზის ცოდნა; წინადადების სინტაქსური ანალიზის პრაქტიკული ცოდნა;</p> <p>გერმანული ენის ლექსიკური მარაგის ცოდნა; მისი გამოყენების ჩვევებს (გერმანულ ენის ლექსიკოლოგია, გერმანული ფრაზეოლოგია) ლექსიკურ ერთეულთა კლასიფიკაცია-სისტემატიზაცია ქვეჯგუფებად; ლექსიკურ ერთეულთა შორის მნიშვნელობის მიმართებათა ცოდნა; ლექსიკურ ერთეულთა გავრცელების საშუალება; დიალექტური თავისებურებების ცოდნა; იდიომატურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წარმოქმნის პრინციპების ცოდნა; ენის ლექსიკური მარაგის დარგობრივი, რეგიონალური, სოციალური (სოციალურად სპეციფიური ლექსიკა) და სტილისტიკური მნიშვნელობა ლექსიკური მარაგის აღწერისას;</p>	<ul style="list-style-type: none"> • ლექცია (მშობლიურ ენაზე), სემინარი (ინტერაქციული) • ლექცია (მშობლიურ და უცხო ენაზე), სემინარი (ინტერაქციული) • ლექცია (მშობლიურ და უცხო ენაზე), პრაქტიკუმი 	<p><u>კლასურა, რეფერატი, წერილობითი გამოცდა</u></p> <p><u>კლასურა, წერილობითი გამოცდა;</u></p> <p><u>კლასურა, დამოუკიდებელი სამუშაო.</u></p>
---	---	--

<p>სტუდენტები იძენენ სხვადასხვა პერიოდის გერმანულ ტექსტებზე ენათმეცნიერული ანალიზის მეთოდების გამოყენების, ტექსტზე მუშაობისა და მათი გაგების უნარს; ანალიზის შედეგების მიხედვით მსჯელობენ ენის განვითარების პროცესში წარმოქმნილ ცვლილებებზე და შესაბამისად ექმნებათ წარმოდგენა ენის ცვალებადობაზე, რაც ენის განვითარების როგორც წარსული, ისე თანამედროვე ტენდენციების თანმიმდევრულად გააზრებისა და შეფასების საფუძველია.</p> <p>ტექსტის დონეზე ანალიზის ტექნიკების ცოდნა; ლინგვისტური კვების მეთოდებისა და აქამდე დაგროვებული ლინგვისტური კომპეტენციების შეჯერება; ტექსტის ლინგვისტური ანალიზისა და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის ტექნიკების დაუფლება, შესაბამისად მისი ზედაპირული და სიღრმული სტრუქტურების, ფუნქციური დატვირთულობის განსაზღვრის უნარი;</p> <p>ტექსტის კვლევის დაუფლება ინტერდისციპლინარულ (ანალიზის პროცესში მომიჯნავე ფილოლოგიური დისციპლინების მეთოდების თავმოყრა, ამ ასპექტში დაგროვილი ცოდნის მობილიზება) რაკურსში;</p> <p>დარგობრივი ცოდნის შექმნა ლინგვისტურ სტილისტიკაში; დარგობრივი ტერმინოლოგიისა და ცნებების ცოდნა; კონკრეტული პრაგმატიკული ტექსტების</p>	<ul style="list-style-type: none"> • ლექცია (მშობლიურ და უცხო ენაზე), სემინარი, დისკუსია, პრაქტიკუმი • ლექცია (უცხო ენაზე), პრაქტიკუმი, დისკუსია 	<p><u>კარბახი,</u> <u>წერილობითი გამოცდა:</u></p> <p><u>კალუზურა,</u> <u>საშინაო</u> <u>დავალება (Hausarbeit),</u> <u>რეფერატი, პრეზენტაცია,</u> <u>წერილობითი გამოცდა:</u></p> <p><u>დისკუსია, პრაქტიკული</u> <u>მეცადინეობა,</u> <u>პრეზენტაცია, კალუზურა,</u> <u>წერილი გამოცდა:</u></p>
--	--	---

<p>სახეობისა და ნაწილობრივ მხატვრული ტექსტების სტილისტური ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავება; კვლევის მეთოდოლოგიის დაუფლება;</p> <p>5. გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის მოდულის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება ეფუძნება ზოგად ლიტერატურათმცოდნეობით (შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში, ლიტერატურის თეორია, მსოფლიო ლიტერატურის ისტორია) ცოდნას; გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის რაკურსში სტუდენტი ცოდნას იძენს ორი განსხვავებული ასპექტით: ერთი მხრივ ხდება სწავლების შედეგის ორიენტაცია ლიტერატურის ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, ხოლო, მეორე მხრივ, შემსწავლელი იძენს მეთოდოლოგიურად სისტემატიზებულ ცოდნას; სტუდენტი კარგად იცნობს ცალკეული ლიტერატურული ეპოქის მახასიათებლებსა და პოეტიკას; სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ფორმატში სტუდენტი ეუფლება ასევე ლიტერატურული ტექსტების ანალიზისა და ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისა და ანალიზის ტექნიკას; სტუდენტი ფლობს ცოდნას გერმანული ლიტერატურის ისტორიის საეტაპო საკითხების შესახებ:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ლექცია (მშობლიურ და უცხო ენაზე), სემინარი, დისკუსია 	<p><u>პრეზენტაცია (რეფერატი), კლავშურა, სამინაო დავალება (Hausarbeit), წერიტი გამოცდა;</u></p>
--	---	--

<p>- გერმანული მედიევისტიკის, შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ; შესაბამისად სტუდენტს ექმნება საბაზისო ცოდნა და უნარები ძველი ლიტერატურის ინტერპრეტაციაში;</p> <p>- ბაროკოსა და განმანათლებლობის პერიოდის ლიტერატურული პროცესების შესახებ არამარტო გერმანული ლიტერატურის, არამედ ზოგადევროპული ლიტერატურისა და კულტურის კონტექსტში;</p> <p>- “ქარიშხლისა და შეტევის” ასევე “გერმანული კლასიკის” პერიოდის ლიტერატურის ძირითად ტენდენციებს, მათ ფილოსოფიურ და ესთეტიკურ წანამდღვრებს;</p> <p>- რომანტიზმის როგორც ზოგადევროპული ლიტერატურული მოვლენის შესახებ; ეცნობა გერმანული რომანტიზმის სპეციფიკასა და ცალკეულ სკოლებს, ამ მიმდინარეობის ფილოსოფიურ საფუძვლებსა და საეტაპო ნაწარმოებებს;</p> <p>- XX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების და ამ ეპოქის გერმანულენოვან ავტორთა შემოქმედებას; ზოგად ლიტერატურულ-ისტორიულ კონტექსტს; ტიპური, საპროგრამო ნაწარმოებების მხატვრულ სპეციფიკას;</p> <p>- ლიტერატურული ჟანრების სპეციფიკას გერმანულენოვან ლიტერატურაში; ჟანრობრივად განსხვავებული ტექსტების ანალიზსა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებსა და ტექნიკებს;</p> <p>II. ცოდნის გამოყენება/პრაქტიკული უნარები</p> <p>საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკუმი, სემინარი • ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი • სემინარი, პრაქტიკუმი; • პრაქტიკუმი; 	<p><u>პრეზენტაცია (რეფერატი), კლასიკური, საშინაო დავალება (Hausarbeit), წერილი გამოცდა;</u></p> <p><u>კლასიკური, კოლოქვიუმი, წერილობითი გამოცდა</u></p>
---	--	---

<p>მიღებული ცოდნის საფუძველზე იძენს შემდეგ პრაქტიკულ უნარებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უცხო ენაზე: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების, დისკუსიაში ჩართვის, დისკუსიის მოდერაციის; 2. უცხო ენაზე ტექსტის პროდუცირებისა და რევიზირების; 3. უცხო ენაზე ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის; 4. უცხო ენაზე ტექსტის დიდაქტიზირების; 5. საანალიზო, ემპირიული, პრიმარული და სეკუნდარული ლიტერატურის მოძიების, შერჩევისა, შეფასებისა და დალაგების, კვლევის შედეგების შეჯერების; შეძენილი ცოდნის პრეზენტაციის; 6. გერმანული ფილოლოგიის დარგში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვის, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბების და მიღებულ სტანდარტებში წარმოდგენის; 7. სხვადასხვა ტექსტის სახეობების მშობლიური ენიდან უცხო ენაზე და პირუკუ თარგმნის; 	<ul style="list-style-type: none"> • სემინარი, პრაქტიკუმი; • სემინარი, საჯარო დაცვა • პრაქტიკუმი 	<p><u>რეფერატი</u></p> <p><u>კლავშურა</u></p> <p><u>რეფერატი, პრეზენტაცია, საშინაო დავალება (Hausarbeit),</u></p> <p><u>რეფერატი, პრეზენტაცია, საშინაო დავალება (Hausarbeit),</u></p> <p><u>საკვალიფიკაციო ნაშრომი</u></p> <p><u>თარგმანი,</u></p> <p><u>წერილი გამოცდა</u></p>
---	---	---

<p>III. ზოგადი/ტრანსფერული უნარები</p> <p>ტრანსფერული უნარები აუცილებელია სტუდენტის უკეთ მოსამზადებლად საზოგადოებაში მისი მომავალი როლისთვის, რაც წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებისა და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობაში გამოიხატება:</p> <p>ზოგადი უნარები: კოგნიტური უნარები</p> <p>1. ფილოლოგიური დარგების შესწავლა უშუალოდ გულისხმობს ტექსტით ოპერირებას და მანიპულაციას. შესაბამისად, სტუდენტი ეუფლება ტექსტში გადმოცემული მოვლენებისა და პროცესების კრიტიკულ გაცნობიერების, არგუმენტაციისა და შედეგების შეჯერების უნარს; სხვა კულტურულ და ნაციონალურ საფუძველზე წარმოქმნილი შეხედულებების გააზრებასა და პატივისცემას. მიღებული ინფორმაციის სათანადოდ დალაგების და მოკლედ გადმოცემის უნარს. აგრეთვე ორიგინალური დოკუმენტების უცხო ენაზე წაკითხვის, ინფორმაციის ბაზის შექმნის, ტექსტის ფორმირებისა და აუცილებლობის შემთხვევაში გამართულად თარგმნის უნარს. სწავლების პროცესში მას უნვითარდება ანალიზისა და სინთეზის უნარი.</p> <p>2. სასწავლო პროგრამის ფარგლებში თითოეული დისციპლინა ეფუძნება თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებს სწავლის სტრატეგიისა და დროის მართებულად</p>	<ul style="list-style-type: none"> • სემინარი, პრაქტიკუმი, საჯარო დაცვა, დისკუსია; • სემინარი, პრაქტიკუმი; 	<p><u>დისკუსია, კლაუზურა, წერიტი გამოცდა;</u></p> <p><u>დისკუსია, პრეზენტაცია (რეფერატი), საშინაო დავალება, კლაუზურა, წერიტი გამოცდა;</u></p> <p><u>პრეზენტაცია (რეფერატი), საშინაო დავალება, პროექტი</u></p>
---	--	---

<p>ორგანიზებას, აგრეთვე პრობლემის წამოჭრასა და მის გადაწყვეტას და საბაზისო დარგობრივი ცოდნის შემენას.</p> <p>ზემოაღნიშნულ ჩვევებს სტუდენტი იძენს სააუდიტორიო მუშაობის პროცესში, როდესაც იგეგმება მეცადინეობის თითოეული საფეხური და მიზანმიმართულად ხორციელდება ინტერაქციული კომუნიკაცია სწავლების პროცესში. თანამედროვე დიდაქტიკური სახელმძღვანელოები ასევე უთითებენ სწავლის ცალკეული საფეხურის სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას, ვინაიდან მართებულად ორგანიზებული დრო ნიშნავს ცოდნის მაღალ ხარისხს.</p> <p>განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას ჯგუფური ან ინდივიდუალური პროექტებისა და პრეზენტაციებისას. ხშირად, დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ქმნის.</p> <p>ყველაზე მნიშვნელოვანია ტექსტის პროდუცირების სტრატეგიის მართებულად შერჩევა, მისი თითოეული ეტაპის განხილვა, მომზადება და რეალიზება, ასევე ანალიზისა და ინტერპრეტაციის ყოველი საფეხურის გათვლა და ეტაპობრივი განხორციელება.</p> <p>ტექსტზე მუშაობის სტრატეგიებისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საბაკალავრო პროგრამის თეორიული სალექციო და სასემინარო კურსი ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული. ვინაიდან ნებისმიერი დასაქმების სფეროში კურსდამთავრებულს შეხება ექნება ზეპირ თუ წერილობით</p>	<ul style="list-style-type: none"> • ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი 	<p><i>პრეზენტაცია (რეფერატი), პროექტი, კოლოქვიუმი.</i></p>
---	--	--

<p>პროგრამით გათვალისწინებულია ასევე მეორე უცხო ენაში ლინგვისტური უნარების შექმნა. პრიორიტეტულ მეორე უცხო ენად მიჩნეულია ინგლისური, რაც განპირობებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ენათა მონათესავე ჯგუფი; - კომპარატიული კვლევები; - სამეცნიერო ინფორმაციის სიუხვე და მრავალფეროვნება ინგლისურ ენაზე; <p>უცხო ენათა სასწავლო პროგრამები სტუდენტს უნივითარებს შემდეგ ლინგვისტურ კომპეტენციებს: <i>ლექსიკური, გრამატიკული, სემანტიკური, ფონოლოგიური, ორთოგრაფიული, ორთოეპიური.</i></p> <p>5. უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების სიახლეთა ჯგუფში უპირველესად სოციალური უნარების გამომუშავება სახელდება. როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სასემინარო კურსების ფარგლებში სტუდენტს უნივითარდება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის უნარი. მეთოდურად დალაგებული არაერთი დისციპლინა ისწავლება, რომლითაც სტუდენტები სოციალურ უნარებს ივითარებენ ინტერპერსონალურ ურთიერთობებში (მაგ., ენის სწავლების პრაქტიკულ კურსზე), სადაც სემინარის ფარგლებში ყალიბდება მუშაობის როგორც პერსონალური, ისე ჯგუფური სოციალური ფორმები, რაც ჯამდება ერთობილივი პროექტების პრეზენტაციის პროცესში. ამ შემთხვევაში პროექტის განხილვა მიმდინარეობს ინტერაქციული ფორმით. სწავლების ეს ფორმები ინერგება თეორიული სემინარების დროსაც, მით უმეტეს თუ კი საგანი ინტერდისციპლინურია.</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკული; ინტერაქციული სემინარი; 	<p><u>პროექტი-პრეზენტაცია</u> <u>კლასურა, ზეპირი</u> <u>ინტერვიუ, წერილობითი</u> <u>გამოცდა</u></p>
---	--	---

<p>ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმით ტექსტის პროდუცირებისას მეთოდურად და დიდაქტიკურად გამართულ სასწავლო პროცესში სტუდენტი ითვისებს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, ანუ აქ იგულისმება: დროის ფორმატის ზუსტი განსაზღვრა, პუნქტუალობა, პასუხისმგებლობა საკუთარ ნაშრომზე, წარმოდგენილი მასალის ნამდვილობა, სხვათა საავტორო უფლებების დაცვა, არა პლაგიატს, სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, საკუთარი აზრის კორექტულად გამოხატვა, დისკუსიის წარმართვა ეთიკის ნორმებში და სხვ.</p> <p>6. ახალი ფორმების დანერგვა უცხო ენის სწავლების პროცესში იმდენად მოქნილია, რომ ანალოგიური მეთოდოლოგია წარმატებით მუშაობს თეორიული და სალექციო კურსების წარმართვისათვის, რაც სტუდენტს უნივითარებს დამოუკიდებელი სწავლის უნარს. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ამ უნარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მობილობის განხორციელების თვალსაზრისით; ამასთან სტუდენტი ეჩვევა დამოუკიდებელ მუშაობს საკუთარ თავზე, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნართაგანია და ხელს უწყობს უპირველეს ყოვლისა კვლევისა და მოძიების, პროექტის დაგეგმვისა და ეტაპობრივად განხორციელების, მისი პრეზენტაციისა და შესაბამისად, ამ პროცესში ერთი მხრივ ზეპირი გამოსვლის, ხოლო მეორე მხრივ აუდიტორიის მართვის მიზანმიმართულ განხორციელებას.</p> <p>სწავლის პროცესში გამომუშავებული</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკუმი, სემინარი; 	<p>კლაუზურა, რეფერატი/სამინაო დავალება, საკვალიფიკაციო ნაშრომი; პროექტი პრეზენტაცია.</p>
---	---	--

<p>დამოუკიდებელი მუშაობის უნარი ავტომატურად ხელს შეუწყობს სტუდენტის ადაპტაციას ახალ და უცხო გარემოში.</p>		
---	--	--

დასაქმების სფეროები

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ყველა იმ საჭირო მეცნიერულ საფუძვლებს, მეთოდურ და პროფესიაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს, რომელიც კურსდამთავრებულს გაუმარტივებს იპოვნოს დასაქმების ბაზარზე სამოქმედო სეგმენტი. სასწავლო მიზნები და კომპეტენციები განისაზღვრა სამუშაო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. სწავლების პროცესში სავალდებულოა საკვანძო კვალიფიკაციათა შექმნა. კურსდამთავრებულები საქმდებიან ყველა იმ სფეროებში, სადაც ზოგადად მიმდინარეობს ვერბალური კომუნიკაცია და კომუნიკანტები მანიპულირებენ ტექსტებით. მათ შესწევთ ინფორმაციის მოპოვების, მისი გადამუშავებისა, გარკვეულ დროის მონაკვეთში ვერბალიზაციის და შესაბამისად, ამ უკანასკნელის ზეპირად ან წერილობით ფორმაში პრეზენტაციის უნარი.

აქედან გამომდინარე იძენს რა კურსდამთავრებული სოციალურ, პროფესიულად სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს, მას შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში, ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციაში **მდივან-რეფერენტა**, (minor-პროგრამა პოლიტმეცნიერებები/კულტურის მეცნიერებები/სოციოლოგია, სოციალური მუშაკი);
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი **რეფერენტად** (minor-პროგრამა სოციოლოგია);
- რადიოსა და ტელევიზიაში **მოდერატორად**, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში **კორექტორად** და **კორესპონდენტად** (minor-პროგრამა ჟურნალისტიკა);
- საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსში **მდივან-რეფერენტად** (minor-პროგრამა პოლიტმეცნიერებები/კულტურის მეცნიერებები);
- მუზეუმებსა და ტურისტულ ბიუროებში **გამყოლად/მეგზურად** (minor-პროგრამა: ხელოვნებათმცოდნეობა/სამუზეუმო საქმე/ტურიზმი/სოციალური გეოგრაფია);
- ადმინისტრირების სფეროში **მოხელე-ადმინისტრატორად** (minor-პროგრამა: ბიზნესადმინისტრირება);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, არქივები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ა.შ. **რეფერენტად** (minor-პროგრამა კულტურის მეცნიერებები/ ხელოვნებათმცოდნეობა/სამუზეუმო საქმე/ისტორია)
- გამომცემლობებში **კორექტორად**, **ტექნიკურ რედაქტორად** (minor-პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა/ქართული ფილოლოგია/რუსული ფილოლოგია)

სწავლის გაგრძელების საშუალება

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის პერსპექტივის გათვალისწინებით სწავლის გაგრძელება სამაგისტრო პროგრამის “გერმანული ფილოლოგია” სასურველ მოდულიში: გერმანული ლინგვისტიკა ან გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა ან რომელიმე გერმანულენოვან უნივერსიტეტში ანალოგიური ან მის მიერ შეჩეული მსგავსი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ 48 მუხლის პ.4ბ. შესაბამისად სტუდენტისადმი მონიჭებული უფლების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია რა უმაღლესი განათლების სწავლების მეორე საფეხურზე შეიცვალოს სპეციაობა, მას საშუალება ეძლევა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დამატებით (minor) სპეციალობაზე განათლების მიართულებაში მიღებული კომპეტენციების საფუძველზე, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამის “გერმანული როგორც უცხო ენა” ფარგლებში.

ზემოხსენებული საკანონმდებლო ჩარჩოები კურსდამთავრებულს უფლებას ანიჭებს აგრეთვე სწავლა განაგრძოს (სპეციალობა შეიცვალოს) სწავლების პირველ საფეხურზე შერჩეული ნებისმიერი დამატებითი (minor) პროგრამის შესაბამისად ან სრულიად სხვა მეორე საფეხურის პროგრამის ფარგლებში, თუ შერჩეული სამაგისტრო პროგრამა არ მოითხოვს რაიმე მკაცრი წინაპირობის.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადაა უმაღლესი განათლების სწავლების პირველი საფეხურის მეორე სემესტრი.

საბაკალავრო ნაშრომი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სასწავლო პროგრამის VIII სემესტრი სასწავლო საკრედიტო სისტემა ნაწილობრივ ივსება კვლევით კომპონენტით. სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო ნაშრომზე. საბაკალავრო ნაშრომების დაცვამდე ცხადდება ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომი	60 ქულა	
ნაშრომის ფორმალური მხარე (ტექსტის სახეობის აკადემიური ფორმატი)	15	
ნაშრომის კომპოზიცია	15	
ნაშრომის კვლევითი კომპონენტის ჩამოყალიბება	10	
სრულყოფილი ენობრივი კომპეტენცია	20	
ნაშრომის ზეპირი პრეზენტაცია	40 ქულა	
პრეზენტაციის ვერბალური მხარე	30	
ტექნიკური და ვიზუალური მხარე	10	
ნაშრომის საბოლოო შეფასება	100 ქულა	

პროგრამაში მონაწილე ლექტორები:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2 სრული,
5 ასოცირებული, 2 ასოტენტ პროფესორი და ენების ცენტრის მასწავლებლები.

დამატებითი პროგრამის დასახელება

გერმანული ფილოლოგია

(*German Philology*)

პროგრამის ხანგრძლივობა

6 სემესტრი (არაუმეტეს)

ECTS

60 კრედიტი

პროგრამის მოდიფიკაციის

თარიღი

2009 წლის მაისი

პროგრამის მიზანი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დამატებითი პროგრამა მიზნად ისახავს ნაწილობრივ სავალდებულო დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების დაუფლებას ძირითადი საბაკალავრო პროგრამიდან “გერმანული ფილოლოგია”; ის უქმნის სტუდენტს დარგის ზოგად საფუძვლებს და სძენს ნაწილობრივ როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

პირველ რიგში გამიზნულია პრაქტიკული *ენობრივი კომპეტენციების* და დარგის ფარგლებში არსებითი უნარ-ჩვევების შექმნა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. “საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს” პარამეტრებს, რაც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციის ზრდას A²/B¹-დან - B²/C¹ დონემდე დამატებითი პროგრამის ფარგლებში; უცხო ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევებს კი სტუდენტი იაქტიურებს ენობრივი ქმედების ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: ზეპირი მეტყველება, წერა, აუდირება და კითხვა. შესაბამისად, ენის პრაქტიკული კურსი აღრმავებს ინტერკულტურული ცოდნის კომპეტენციებს.

წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს ასევე მეცნიერულ მეთოდებზე დამყარებულ *კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას*, რომელიც ვითარდება ორი მიმართულებით: გერმანული ენათმეცნიერება და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა. პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში დარგობრივი უნარჩვევების ჩამოყალიბება გულისხმობს.

დამატებითი პროგრამის ფარგლებში გარდა პრაქტიკული და თეორიული კომპეტენციებისა და უნარჩვევების შექმნისა, სტუდენტს მიზნობრივად უნვითარდება *ზოგადი და ტრანსფერული უნარები*, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომში მის წარმატებულ დასაქმებას.

სწავლის შედეგები (იხ. მოდიფიცირებული საბაკალავრო პროგრამა გვ. 3-11)

დასაქმების სფეროები

დამატებითი პროგრამა მოიცავს ნაწილობრივ დარგობრივ საფუძვლებს, მეთოდურ და ზოგად კომპეტენციებს ზემოხსენებული ფილოლოგიური დარგიდან (გერმანული ფილოლოგია), რომელიც კურსდამთავრებულს კონკურენტუნარიანს გახდის დასაქმების ბაზარზე. პროგრამის ფარგლებში სწავლების პროცესში სტუდენტი იძენს დამატებით კვალიფიკაციას, შესაბამისად მათ შესწევთ ინფორმაციის მოპოვების, მისი გადამუშავებისა, გარკვეულ დროის მონაკვეთში ვერბალიზაციის და შესაბამისად, ამ უკანასკნელის ზეპირად ან წერილობით ფორმაში პრეზენტაციის უნარი.

აქედან გამომდინარე იძენს რა კურსდამთავრებული პროფესიულად სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს ძირითადი პროგრამებიდან სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურისა და სხვა ჰუმანიტარულ, მეცნიერებათა სფეროდან, მას შეუძლია დასაქმდეს:

- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში, ადგილობრივ და რეგიონულ ადმინისტრაციში, **რეფერენტად, თანაშემწედ**, (major-პროგრამა პოლიტმეცნიერებები/კულტურის მეცნიერებები);
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტში **რეფერენტად** (major-პროგრამა სოციოლოგია);
- რადიოსა და ტელევიზიაში **მოდერატორად, კორესპონდენტად, ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტად** (major-პროგრამა ჟურნალისტიკა, პოლიტმეცნიერებები, კულტურის მეცნიერებები);
- საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსში **მდივან-რეფერენტად, თანაშემწედ**, (major-პროგრამა პოლიტმეცნიერებები/კულტურის მეცნიერებები);
- მუზეუმებსა და ტურისტულ ბიუროებში **გამყოლად/მეგზურად** (major-პროგრამა: ხელოვნებათმცოდნეობა/სამუზეუმო საქმე/ტურიზმი/სოციალური გეოგრაფია);
- ადმინისტრირების სფეროში **მოხელე-ადმინისტრატორად** (major-პროგრამა: ბიზნესადმინისტრირება);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში და ა.შ. **რეფერენტად, თანაშემწედ, ექსპერტად** (major-პროგრამა კულტურის მეცნიერებები/ ხელოვნებათმცოდნეობა/სამუზეუმო საქმე/ისტორია)
- გამომცემლობებში **კორექტორად, ტექნიკურ რედაქტორად** (major-პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობა/ქართული ფილოლოგია/რუსული ფილოლოგია);

სწავლის გაგრძელების საშუალება

უმაღლესი განათლების სწავლების პირველ საფეხურზე დამატებითი პროგრამის “გერმანული ფილოლოგია” კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის პერსპექტივის გათვალისწინებით სწავლის გაგრძელება სამაგისტრო დონეზე:

- ძირითად პროგრამაში არსებული, მის მიერვე შერჩეული ანალოგიური ან მსგავსი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში როგორც საქართველოში, ისე რომელიმე გერმანულენოვან უნივერსიტეტში;
- სამაგისტრო პროგრამის “გერმანული ფილოლოგია” სასურველ მოდულში: გერმანული ლინგვისტიკა ან გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ 48 მუხლის პ.4^ბ შესაბამისად სტუდენტისადმი მონიჭებული უფლების საფუძველზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ სტუდენტს შეუძლია სწავლა განაგრძოს (სპეციალობა შეიცვალოს) სწავლების პირველ საფეხურზე მის მიერ შერჩეული დამატებითი (minor) პროგრამის მეორე საფეხურზე გამოცხადებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში, თუ შერჩეული სამაგისტრო პროგრამა არ მოითხოვს რაიმე მკაცრი წინაპირობის დაცვას.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობები.

დამატებით პროგრამაზე სასწავლებლად სტუდენტმა უნდა მონაწილეობა მიიღოს ტესტირებაში (გრადაციის ტესტი). ტესტირების შედეგად სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. “საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს” პარამეტრებს, კერძოდ A¹-/A² დონეს.

დამატებითი პროგრამის სტრუქტურა¹(იხ. დანართი)

11.	H.23-08					*		*		*		*	*			*				*		*	*		*		*	*		*		*	*	*
12.	H.23-09					*		*		*		*	*			*		*	*	*		*	*		*		*	*		*		*	*	*
13.	H.23-21					*	*	*		*	*		*				*	*	*							*	*	*		*		*	*	*
14.	H.23-23					*	*	*	*	*		*	*				*		*		*	*		*		*	*		*		*	*	*	
15.	H.23-24					*		*		*		*	*			*		*	*	*		*	*		*	*		*	*		*	*	*	
16.	H.23-26					*		*		*		*	*			*		*	*	*		*	*		*	*		*	*		*	*	*	
17.	H.23-27-1	*				*	*	*										*			*				*				*		*	*	*	
18.	H.23-27-2		*		*	*					*					*	*	*	*						*	*	*	*		*	*	*	*	

გერმანული ენის შესასწავლი პრაქტიკული კურსის ძირითადი მასალა A1-C1
2007-2008

დანართი #6

			Lehrwerk	Verlag	
1.	A1	I S.	1. Schritte International A1.1 2. Schritte International A1.2	Hueber	
	A2	II S	3. Schritte International A2.1 4. Schritte International A2.2	Hueber	
	B1	III S	5. Schritte International B1.1 6. Schritte International B1.2	Hueber	
	B2.1	IV S	7. em neu Hauptkurs L.1-5	Hueber	
	B2.2	V S	8. em neu Hauptkurs L.6-10	Hueber	
	C1.1	VI S	9. em neu Abschlusskurs L.1-5	Hueber	
	C1.2	VII S	10.em neu Abschlusskurs L.6-10	Hueber	
	C1.3		11.Auf neuen Wegen	Hueber	